

ინოვაცია საგადასახადო სფეროში

ახალი გადასახადი, რომელიც ამარტივებს საგადასახადო ადმინისტრირებას
და აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკას

ანოტაცია

ნარმოდგენილ ნაშრომში ასახულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის ლევან თეზიასვილის მოსაზრებები დაბეგვრის სისტემის შემდგომი გამარტივებისა და ოპტიმიზაციის შესახებ.

დოქტორანტი ანვითარებს აზრს მასზე, რომ საქართველოში შემოიღონ ერთიანი, გამარტივებული გადასახადი, რომელიც ჩაანაცვლებს ყველა არაპირდაპირ გადასახადს. მარტივი სისტემა და რაციონალური საპროცენტო განაკვეთი დადებითად აისახება გადასახადის გადამხდელის საქმიანობასა და ეკონომიკის განვითარებაზე. რყევების გასაწესებლად, მიზანშეწონილია ეს პროცესი განხორციელდეს ეტაპობრივად - პირველი ნაბიჯი, რაც ოპტიმიზაციას შეუწყობს ხელს, არის გაერთიანებული გადასახადის ნარმოდგენა, დაბეგვრის ობიექტისა და გამოთვლის მოდელირება.

ნაშრომში განხილულია სხვა ქვეყნების, მათ შორის, ინდოეთის, სინგაპურის გამოცდილება და მიღწეული შედეგები, რაც საქართველოსთვის მისაღებ მოდელს შეიძლება დაედოს საფუძვლად.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები ოპტიმიზაცია, ხარჯების მოდელირება, მარტივი ინტერფეისი.



ლევან თეზიასვილი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

INNOVATION IN THE FIELD OF TAXATION

A new tax that simplifies tax administration and improves the country's economy

Levan Teziashvili

PhD student at the Faculty of Business and Social Sciences of Sokhumi State University

ANNOTATION

This paper reflects the views of Levan Teziashvili, a doctoral student at Sokhumi State University, on further simplification and optimization of the taxation system.

The doctoral student develops the idea of introducing a single, simplified tax in Georgia, which will replace all

indirect taxes. The simple system and rational interest rate have a positive impact on the taxpayer's activities and the development of the economy. To neutralize the fluctuations, it is advisable to carry out this process in stages - the first step that will help to optimize is the submission of a unified tax, modeling of the tax base and calculation.

The paper discusses the experience of other countries, including India, Singapore and the results achieved, which can be the basis for a model acceptable to Georgia.

Keywords: Payments optimization, cost modeling, simple interface.

შესავალი

ერთ-ერთი სახელმწიფო, რომელმაც საგადასახადო რეფორმები გაატარა და გადასახადების ოპტიმიზაციის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა, ინდოეთია. გამომდინარე იქიდან რომ, ინდოეთს აქვს დიდი და რთული საგადასახადო ბაზარი, სადაც ყველა პრობლემის აღმოსაფხვრელად, ძირეული რეფორმების გატარება მარტივი არ არის, - ამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადასახადებს თავს არიდებდა, სახელმწიფო კარგავდა შემოსავლებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ეკონომიკის განვითარებაზე. გადამხდელებისთვის სირთულეს ქმნიდა ამ ქვეყნის ბევრი რთული არაპირდაპირი გადასახადები.

2017 წლიდან ინდოეთმა შეძლო თავი დაეღწია საგადასახადო სირთულეებისთვის, მას აქვთ, რაც

ქვეყნის ეკონომისტებისა და ფინანსისტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე განხორციელდა რეფორმა - ადრე მოქმედი ყველა არაპირდაპირი გადასახადის ნაცვლად შემოიღეს ერთი, **საქონლისა და მომსახურების გადასახადი - GST (Goods and Service Tax)**. ამავდროულად გამარტივდა გადახდა და ასევე აღრიცხვა. ამ გადასახადმა, უპირველეს ყოვლისა, კასკადურ დაბეგვრას შეუშალა ხელი. კასკადური დაბეგვრა არის პრობლემა, რომელიც ძალიან დიდ ტვირთად აწევს დღეს მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს გადამხდელს. ფაქტობრივად, ეს არის გადასახადებზე გადასახადი, რაც უპირველეს ყოვლისა, ზრდის ფასებს, მეორე მხრივ, ბიუროკრატიულ პრობლემებს აჩენს და უკიდურესად რთულდება ადმინისტრირება. კასკადური დაბეგვრა დამახასიათებელია სუსტი

ეკონომიკის ქვეყნებისთვის. მათთვის ეს გადაუჭრელი პრობლემა და ასოცირდება დიდ საგადასახადო რეფორმასთან, რომლის ჩატარება ხშირ შემთხვევაში, განვითარებულ სახელმწიფოებსაც უჭირთ. რეფორმის ჩასატარებლად საჭიროა ფართომასშტაბიანი კვლევა, რამდენიმე წლიანი დაკვირვება, ფასებისა და ინფლაციური პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, ასევე, მიწოდებისა და მოხმარების რეალური უტყუარი სურათის დანახვა, რადგან ასეთი სახის რეფორმას ყოველთვის ახლავს ეკონომიკური პრობლემების გამწვავება, მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული კლება, ფასების ზრდა და ა.შ. რეფორმის განხორციელების სირთულე უკავშირდება საფინანსო და საგადასახადო სექტორში კვალიფიციური კადრების, ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსების დეფიციტს, პროცესებზე კონტროლის განხორციელების უუნარობას, დემოგრაფიულად მრავალრიცხოვანი მოსახლეობის განათლების დონეს, ინფომირებულობას, ერთიანი სამოქმედო პლატფორმის შექმნის შესაძლებლობების შეზღუდულობას. სუსტი ეკონომიკისა და დემოგრაფიულად დიდ სახელმწიფოებში საგადასახადო კონტროლის სისტემა არაეფექტიანად მუშაობს; ვერ ხერხდება საგადასახადო ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შექმნა. შედეგად, გაუკონტროლებელ ბაზარზე ცოტაა, ვინამაც იცის თუ რაში მდგმარეობს გადასახადების გადახდისა და მისი აკუმულირების არსი, მაშასადამე, განათლების დონე საკმაოდ დაბალია და შესაბამისად, მთელი პრობლემის არსიც ამაში მდგომარეობს.

რა არის GST ?

GST - ეს არის დიდი რეფორმის პროდუქტი, ყოველისმომცველი არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც

დანესებულია საქონლის წარმოებაზე, რეალიზაციასა და მოხმარებაზე, ასევე, მომსახურებაზე. მან შეცვალა ყველა ირიბი გადასახადი, რომელიც ინდოეთის ცენტრალურმა და შტატების მთავრობამ დააკისრა საქონელსა და მომსახურებას.

GST რეჟიმი განხორციელდა 2017 წლის 1 ივლისიდან და ინდოეთმა მიიღო მოდელი, რომელშიც ორივე - ცენტრი და შტატები იღებენ გადასახადებს (იხ. სურ. 1).


GST რეჟიმის პირობებში მოქმედებს:

- 1) მინიმალური ფიზიკური ინტერფეისი;
- 2) შესაბამისი ღირებულების შემცირება არაპირდაპირი გადასახადების გაერთიანების გამო;
- 3) გადასახადების თავიდან აცილების საშუალება ინოვაციურ ტექნოლოგიებზე (IT) დაფუძნებული ძლიერი ადმინისტრაციის საშუალებით;
- 4) საქონლის და მომსახურების ერთიანი საგადასახადო რეჟიმი;
- 5) საგადასახადო კასკადის არარსებობა.

GST არის ერთიანი არაპირდაპირი გადასახადი მთლიანი ქვეყნისთვის, რომელმაც გააერთიანა მანამდე არსებული 11 არაპირდაპირი გადასახადი. მათ შორის, საბაჟო გადასახადი, მომსახურების გადასახადი, შტატის საბაჟო გადასახადი, აქციზის გადასახადი, შტამპის და რეგისტრაციის მოსაკრებელი, საერთო გაყიდვების გადასახადი, ტრანსპორტის გადასახადი, გართობის გადასახადი, საქონლისა და მგზავრობის გადასახადი, ელექტროენერგიის გადასახადი, შაქრის ლერწმის შესყიდვის გადასახადი.

GST ვრცელდება ყველა პროდუქტზე, გარდა ადამიანის მოხმარებისთვის ალკოჰოლური სასმელებისა და შემდეგი ხუთი სახის ნავთობპროდუქტისა: - ნედლი ნავთობი; მაღალსიჩქარიანი დიზელის სანავაგი; ძრავის

IMPACT OF GST



სურათი:1 ძველი მოდელის ტრანსფორმაცია და ახალი მოდელის იმპლემენტაცია

სპირტი; ბუნებრივი აირი და საავიაციო ტურბინის სანავაი. მათზე GST-ის დარიცხვა დაიწყება ძალაში შესვლის თარიღის გამოცხადების შემდეგ.

GST დანიშნულების ადგილზე დაფუძნებული გადასახადი და მხოლოდ საბოლოო მომხმარებელს ეკისრება გადაიხადოს გადასახადი, რომელსაც ბოლო მოვაჭრე აწესებს მიწოდების ქსელში.

GST რეჟიმის პირობებში საქონელი და მომსახურება იბეგრება სხვადასხვა დონეზე და რადგან საკრედიტო მექანიზმი ეფექტურია, შესაძლებელია საგადასახადო კასკადის თავიდან აცილება. ამ რეფორმით მოგებული დარჩა მომხმარებელი და რაც მთავარია - ქვეყნის ეკონომიკა.

ინდეთში ადრე არსებული არაპირდაპირი საგადასახადო სისტემის მნიშვნელოვანი მიწის იყო კასკადური ეფექტი, რომელიც წარმოება გადასახადებში. ასევე, ძალიან შემამოფოთებული იყო საგადასახადო სისტემის გამჭვირვალობა.

დეცენტრალიზებული ინდოეთის ოცდაერთივე შტატს სხვადასხვა საგადასახადო სისტემა ჰქონდა, რაც თავის მხრივ, ართულებდა ურთიერთობას შტატებს შორის, ეს გარემოება კი ხელს უშლიდა ვაჭრობას, ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ახალმა გადასახადმა ინდოეთს მისცა საერთო სისტემა, რომელშიც ჩაება მთელი ინდოეთი. ინდოეთში ახლადამკვიდრებული გადასახადი ადგილობრივი მომხმარებელზე გათვლილი გადასახადია, ამიტომ ღარიბი, მაგრამ პოპულაციით დიდი შტატები ინტერესით იყო ჩართული საერთო ეკონომიკური წარმატების ფორმირებაში, რადგან გადახდილი გადასახადი, რომელიც პროპორციულად ნაწილდება და სახელმწიფოს ბიუჯეტს, ასევე შტატის ადგილობრივ ბიუჯეტს ავსებს. ეს გადასახადი ნაკლებად განვითარებულ შტატებს შესაძლებლობას აძლევს ბევრი სხვა საზოგადოებრივი პროექტი განახორციელონ.

ეს გადასახადი სწორად გაანგარიშებულ, ოპტიმალურ საპროცენტო განაკვეთს მოიცავს. ამ გადასახადის დღეს არსებული პროცენტული დიფერენცია 0% დან 28% შორის ვარირებს. არსებობს 0, 5, 12, 18 და 28 პროცენტიანი განაკვეთი, რაც განსაზღვრულია საქონლის კლასიფიკაციის, სასაქონლო ნიშნის, მისი მოხმარების აუცილებლობის და დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით. მათ შორის, მოქმედებს შემდეგი სახის საქონლისა და მომსახურების გადასახადი:

0%-იანი განაკვეთით იბეგრება წარმოება, - ძირითადი საკვები, მათ შორის: თევზი, ხორცი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, პური, მარილი, საფოსტო მომსახურება, ნიგნები და გაზეთები;

5%-იანი განაკვეთით იბეგრება რძის პროდუქტები - უცხიმო რძის ფხვნილი, რძის საკვები ახალშობილებისთვის, შედედებული რძე, შეფუთული პანელი, კრემები, გაყინული ბოსტნეული, ეკონომკლასის საჭაერო მოგზაურობა, კვების ტროდუქტები - შაქარი, სანელებლები, საკვები ზეთი, პიცის პური, რუსკი, ტკბილეული, თევზის ფილე, ტაპიოკა, ტაქსის მომსახურება, სასმელები - ყავა, ჩაი, წვენები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი,

სანავაი - ნავთი, ნახშირი, მზის პანელები, საერთო კომუნალური გადასახადები;

12%-იანი განაკვეთით იბეგრება რძის პროდუქტები - კარაქი, ყველი, სასტუმროები და რესტორნების მომსახურება, შეფუთული მშრალი ხილი, ბიზნეს კლასის საჭაერო მოგზაურობა, კვების ობიექტები - საჭმელები, შეფუთული ქათამი, ძხვეწი, მურაბები, სოუსები, სასმელები - ხილის წვენები, შეფუთული ქოქოსის წყალი, პირადი ჰიგიენის საშუალებები, საკანცელარიო ნივთები, სავარჯიშო ნიგნები, რვეულები, საკერავი მანქანა, ქოლგა, აიურვედული მედიცინა, მობილური ტელეფონები;

18%-იანი განაკვეთით იბეგრება რძის პროდუქტები, ნაყინი, დაბინავება სასტუმროებში (მომსახურება), დაკონსერვებული ბოსტნეული, კვების, სასმელების მომარაგება 5 ვარსკვლავიან და მაღალრეიტინგულ რესტორნებში, კვების ობიექტები, არომატიზირებული რაფინირებული შაქარი, მაკარონი, სიმინდის ფანტელები, ნამცხვრები, წვნიანები, მყისიერი საკვების ნარევი, დამუშავებული საკვები, ტელეკომის მომსახურება, სასმელები - მინერალური წყალი, IT მომსახურება, ბრენდული სამოსი, ფინანსური მომსახურება, სამუშაოების შესრულება, კინოს ბილეთები, საკანცელარიო ნივთები - კონვერტები, ელექტრონული მოწყობილობა - ნაბეჭდი სქემები, მონიტორები;

28%-იანი განაკვეთით იბეგრება საკვები პროდუქტები - შოკოლადები, სალეჭი რეზინი, კრემის ფხვნილი, პირადი ჰიგიენა - დეოდორანტი, საპარსი კრემი, გაპარსვის შემდეგ, თმის შამპუნი, საღებავი, მზისგან დამცავი საშუალება, სუნამო, სახის კრემები, სარეცხი საშუალებები, საყოფაცხოვრებო საქონელი - მტვერსასრუტი, საპარსები, თმის საკრეჭი, სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, წყლის გამაფხვლებლები და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, დინამიკები, კამერები, ავტომობილები და ავტომობილები*, საბინაო მასალები - საღებავი, ფონი, კერამიკული ფილები, ცემენტი, ამონი მანქანები, სავაჭრო მანქანები, ბანკომატი, ფიერვერკი, ძვირადღირებული დემირირებული საქონელი პანმასალა, თამბაქო, ბიდისები, გაზიანი სასმელები და ავტომობილები, გასართობი ღონისძიებები - გასართობი ობიექტები, წყლის პარკები, თემატური პარკები, მხიარული გასეირნებები, მხიარული ტურები, რბოლა, კარტინგი, კაზინოები, ბალეტი, სპორტული ღონისძიებები, ანტიკვარული პროდუქცია;

SGST - სახელმწიფო GST, აკუმულირდება შტატის ბიუჯეტში;

CGST - ცენტრალური GST, აკუმულირდება ცენტრალურ ბიუჯეტში;

IGST - ინტეგრირებული GST, აკუმულირდება ცენტრალური ბიუჯეტში;

UGST - შეგროვებული სახელმწიფო ცენტრალური მთავრობის მიერ საკავშირო ტერიტორიებიდან;

შტატის შიდა მოხმარების გადასახადი;

შტატის გარეთ გაყიდვის გადასახადი.

როგორ მუშაობს GST

მისი მოდელირება და გადაადილების ტრაექტორია,

თუ როგორ გადაიხდება და რა გზას გადის, ასახულია წარმოდგენილ 2 სურათზე.

ეს სქემა გვიჩვენებს, თუ რა გზას გადის პროდუქცია ხე-ტყის მასალების დამამზადებელიდან საბოლოო მომხმარებელამდე. მწარმოებელი გადაიხდის საპროცენტო განაკვეთებს, როგორც ადგილობრივი შტატის GST ანუ SGST-ს და ასევე, CGST-ს, მაგალითად, 10%-10% -ს და შესაბამისად, მიიღებს კრედიტს, ანუ ჩათვლას და შემდეგი საფეხური არის მიწოდება. ავეჯის ხელოსანს, რომელიც ინვოისის საშუალებით გადაიხდის უკვე ცენტრალური ხელისუფლების გადასახადს და შტატის გადასახადს, თუ პროდუქცია გადაკვეთს შტატს, ამ შემთხვევაში ავეჯის გამყიდველი მიიღებს შტატიდან მის შტატს გადაუხდის შტატის გადასახადს და ცენტრალურ გადასახადს, ასე საბოლოო დანიშნულებამდე ფასში განივთებული GST მიაღწევს საბოლოო მომხმარებელამდე და საგადასახადო ტვირთი აწევა მომხმარებელს, რომელიც ყიდულის პროდუქციას, რომელიც დამზადებულია სხვა შტატში და ეს გადასახადი აძლევს ყველა შტატს მიიღოს გადასახადი მწარმოებლისგან და მოახდინოს საგადასახადო თანხების აკუმულირება, რაც დადებითად აისახება ამ შტატის განვითარებაზე - რთულად ჩანს, თუმცა საბოლოო შედეგი ყველასთვის ხელსაყრელი და ეფექტიანია.


გადასახადების ლიბერალურობითა და ოპტიმიზაციის ხარისხით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს

აზიის ქალაქი-სახელმწიფო - სინგაპური, რომელიც ეკონომიკური მდგომარეობით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ლიბერალურ სახელმწიფოდ მიიჩნევა. მინიმალური ადმინისტრაციული ბარიერები და მკაფიო საგადასახადო წესები იზიდავს მენარმეებს მთელი მსოფლიოდან.

გააზრებული და მიზანმიმართული რეფორმების შედეგად, ღარიბი სახელმწიფო ძალიან სწრაფად უმდიდრეს სახელმწიფოდ გარდაიქმნა. წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებს აქ პოლიტიკურ ავტორიტარიზმიც ახლავს.

საგადასახადო განაკვეთი სინგაპურში საკმაოდ დაბალია და საშუალოდ ის ფირმის შემოსავლის 20.3%-ს შეადგენს,

სინგაპურის საგადასახადო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია როგორც კორპორატიული, ისე ინდივიდუალური საგადასახადო განაკვეთების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. კორპორატიული საგადასახადო განაკვეთების კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ინდივიდუალური საგადასახადო განაკვეთების კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს შრომის პროდუქტიულობის ამაღლებას და მენარმეობის ნახალისებას. საგადასახადო სისტემის მოქნილობის გასაზრდელად, როგორც მთავრობის შემოსავლის წყარო, 1994 წელს შემოიღეს საქონლის და



სურათი 2. საქონლიდან და მომსახურების გადასახადის მოდელირება

მომსახურების გადასახადი (GOODS & SERVICES TAX). რამაც უზრუნველყო მოხმარების და შემოსავლის გადასახადის მიქსის დაბალანსება და გაამყარა სინგაპურის ფისკალური პოლიტიკის მდგრადობა.

საქონლის და მომსახურების გადასახადით იბეგრება მოხმარება და, როგორც ყველა ირიბი გადასახადი, ხელს უწყობს დანაზოგების და ინვესტიციების ზრდას.

საქონლისა და მომსახურების გადასახადი (GST) ეს არის შიდა მოხმარების გადასახადი, რომელიც ვრცელდება სინგაპურში გაყიდულ ყველა საქონელზე და მომსახურებებზე, გარდა ფინანსური მომსახურებისა და საცხოვრებელი უძრავი ქონებისა. იგი გადაიხდება საქონლისა და მომსახურების შეძენისას, ბევრ სხვა ქვეყანაში ეს არაპირდაპირი გადასახადი ასევე ცნობილია, როგორც დამატებული ღირებულების გადასახადი, თუმცა მას აქ განსხვავებული დატვირთვა აქვს.

საქონლისა და მომსახურების გადასახადის განაკვეთი 7% -ს შეადგენს.

საერთაშორისო ხასიათის ექსპორტისა და მომსახურების განვეის შემთხვევაში კი 0%.

საქონლისა და მომსახურების გადასახადი იბეგრება საბოლოო შემსყიდველისათვის, ამიტომ ეს გადასახადი არ არის ხარჯი კომპანიისთვის. საქონლისა და საერთაშორისო მომსახურების ექსპორტი, ასევე საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვა ან იჯარით გაცემა არ ექვემდებარება დაბეგვრას.

ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა იძლევა საშუალებას, დავინახოთ პარალელები ან გადაკვეთები საქართველოში არსებულ პრაქტიკასთან და გავაკეთოთ დასკვნები, დავსახოთ განვითარების, სრულყოფის პერსპექტივა.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნები ცდილობენ გამოავლინონ მეტი პოტენციალი და შეიქმნან როგორც ტურისტული, ასევე საიმედო საინვესტიციო გარემო, რომელსაც ქმნის ფაქტორთა ერთობლიობა. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება საგადასახადო გარემო, მთვარობების დამოკიდებულება ბიზნეს სექტორის მიმართ, სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და პოლიტიკური კურსი, დამოუკიდებელი სასამართლო და მისი დემოკრატიულობა, რომელიც წარმოშობს მშვიდობას ან არეულობას, რაც შემდეგ აისახება ქვეყნის განვითარებას დონეზე.

გადასახადების ოპტიმიზაციის გზა, რომელიც უნდა გაიაროს სხვადასხვა ქვეყნის სისტემამ და ჩამოყალიბდეს ახალი სახით, განსხვავებულია, თუმცა მათ შორის შესაძლებელია ვიპოვოთ ისეთი მიმართულება, რომელიც რეფორმებისთვის ორიენტირად გამოდგება. მისი განხორციელების შემდეგ საგადასახადო სისტემა იქნება უფრო ელასტიური და გადამხდელზე მორგებული. ქვეყნების გამოცდილებებიდან და საუკეთესო პრაქტიკებიდან იკვეთება 10 ნაბიჯიანი სქემა, რომელიც ოპტიმიზაციის და მისი იდეალური ღირებულების გამოთვლის წინაპირობაა:

1. ბანკის საგადასახადო ოპერაციების ანალიზი;
2. საგადასახადო კანონმდებლობის მონიტორინგი;
3. მონიტორინგი ბანკის სადაგასახადო ოპერაციების;
4. შიდა ცვლილებების პროგნოზირება;
5. საგარეო ცვლილებების პროგნოზირება;
6. საგადასახადო ბაზების შექმნა;
7. მეთოდოლოგიის შემუშავება;
8. ბუღალტრული აღრიცხვის განვითარება;
9. საგადასახადო აღრიცხვის მოდერნიზება;
10. სისტემის კონტროლი.


საბოლოო წარმატებული შედეგისთვის ასევე აუცილებელია საგადასახადო რისკების ეფექტური მართვა. რისკების სწორი მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად საჭიროა:

1. საგადასახადო რისკების გამოვლენა და შეფასება;
2. სადავო დებულებების შესწავლა;
3. მიმდინარე რისკების მონიტორინგი;
4. რისკების კლასიფიკაცია და მათი შედეგების ანალიზი;
5. რისკების ზემოქმედების პროგნოზირება;
6. რისკის შესახებ მეთოდების შემუშავება;
7. სხვადასხვა ალტერნატივების შედარება;
8. რისკზე ზემოქმედების საუკეთესო მეთოდის გამოყენება.

თავის მხრივ, სისტემის ფუნქციონირება მოითხოვს მისი ეფექტიანობის სტაბილურობას ხანგრძლივადიან პერსპექტივაში, რისთვისაც გამოცდილების სპექტრიდან გამოირჩევა რამდენიმე ნაბიჯიანი სქემა. მასში მოიაზრება:

1. ზოგადი ეფექტიანობის მაღალი დონის მხარდაჭერა;





2. ეფექტიანი სტრუქტურის შექმნა;
3. ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი გადაადგილების უზრუნველყოფა;
4. სასიცოცხლო ციკლის მიმდინარე ეტაპზე მონიტორინგი;
5. სამუშაო პროცესის ავტომატიზაცია;
6. ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება;
7. სისტემის სამუშაო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა;
8. გადამხდელთა ეფექტურობის მუდმივი ზრდა;
9. თვითკონტროლის სისტემის განხორციელება;
10. შედეგზე ორიენტირებული საგასახადო მოდელის განსაზღვრა;

11. გადამხდელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

გადასახადების ოპტიმიზაცია მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და რეფორმებს საგადასახადო სფეროში.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ოპტიმიზაციის პროცესს სრულად და რეფორმის გატარებისთვის იქნება წინაპირობა.

საქართველოში გადასახადების ტრანსფორმაციისთვის შესაძლოა მოინახოს შემდეგი ალტერნატივა - შეიქმნას სამი ტიპის გადასახადი:

GST I - იმპორტის გადასახადი;

GST V - დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ);

GST E - აქციზის გადასახადი;

აუცილებლად უნდა მოვახდინოთ აქციზის გადასახადის რეფორმირება და გამოანგარიშება მოხდეს ღირებულების მიხედვით, შესაბამისად, კვოტირებული, ფიქსირებული გადასახადი გადავიყვანოთ ის პროცენტულ მაჩვენებელზე, რადგან სხვა არსებულ გადასახადთან ერთად მარტივად გაერთიანდეს.

დაკვირვებიდან და უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება რამდენიმე სა-აქციზო პროდუქციის დაბეგვრის განაკვეთების სახეცვლილება. მათ შორის, უფრო რაციონალური იქნება: ავტომობილებზე აქციზი იყოს ღირებულების 12%, (ვფიქრობ, ეს ყველაზე ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთია); სიგარეტებზე გადასახდელი გადასახადი შეადგენდეს ღირებულების 10% -ს (ესეც ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთია); ნავთობპროდუქტებზე აქ-

ციზი განისაზღვრებოდეს 40%-ით; საპოხი მასალებზე კი - 80%-ით; ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი - ღირებულების 10% -ს.

გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე გადასახადის ერთად გადახდა მოუწევს გადამხდელს, ეს გადასახადები გაერთიანდება და ერთად მოხდება მათი გადახდა.

GST V+E ანუ დღგ-ს და აქციზის ერთად გადახდა - 18%+10% ანუ 28 % -ს გადაიხდის გადამხდელი და შესაბამისად, მიიღებს საგადასახადო ჩათვლას.

GST I+E აქციზის და იმპორტის გადასახადების ერთად გადახდის შემთხვევაში გაერთიანდება იმპორტის 0,04%-იანი, 5%-იანი და ან 12%-იანი განაკვეთი აქციზის გადასახადთან ერთად და ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი მიიღებს საგადასახადო ჩათვლას.

GST V+ I ანუ დღგ-ს 18%-ს დაემატება იმპორტის გადასახადი. ამ მეთოდით მივიღებთ გამარტივებულ, მოქნილ და არსებითად ახალ ევროპულ გადასახადს, რომელსაც ანალოგი არ აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://cleartax.in/s/gst-law-goods-and-services-tax>
2. <https://www.gstindia.com/>
3. https://www.researchgate.net/publication/301764994_Tax_Optimization
4. <https://www.nerdwallet.com/blog/2019-tax-report/>
5. <https://www.chargebee.com/docs/indian-gst.html>
6. <http://gstcouncil.gov.in/>
7. <https://www.bankbazaar.com/tax/gst.html>
8. <https://taxadda.com/gst-calculator/>
9. <https://www.investopedia.com/terms/g/gst.asp>
10. <https://www.sagesoftware.co.in/gst-india/>
11. <https://cbic-gst.gov.in/>
12. <https://www.kompassindia.com/blog/types-of-gst-in-india-cgst-sgst-igst-and-utgst-explained/>
13. <https://www.ibef.org/research/india-study/goods-and-services-tax>
14. <https://pteducation.com/gst/defaultgst.aspx>